ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7519566

ნომერი: AR11093575

თარიღი : 03.06.2025

გაცემის თარიღი : 17.06.2025

გაცნობის თარიღი : 18.06.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 133;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი ნადირაძე პ/ნ 31001007692
- მცხეთა დ.აღმაშენებლის ქ. N 164

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსადგური

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 03/06/2025წლის AR11093575 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ (ს/კ: N01.13.03.051.060) მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას ,პასუხად გაცნობებთ, რომ:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 04/02/2025 წლის N 16-01250352920 წერილის საფუძველზე, „თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (მათ შორის მიმდებარე გარემო) ხასიათდება ქაოტური განაშენიანებით და წარმოადგენს დაუგეგმარებელ/მოუწესრიგებელ ტერიტორიას. იმისათვის, რომ არ მოხდეს ტერიტორიის ქაოტური სამშენებლოდ განვითარება და ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოცემული და მიმდებარე ტერიტორიის ერთიან კონტექსტში განხილვა და ერთიანი პროექტის/ გეგმარებითი დოკუმენტის ფარგლებში განვითარება, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს, ნორმალური საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად ტერიტორიის ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი ობიექტებით უზრუნველყოფას (გრგ)".
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 03/06/2025 წლის AR11093575 განცხადება. სამსახურს ექნება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა აღნიშნულ ტერიტორიაზე გრგ-ს დამტკიცების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.